ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5942092

ნომერი: AR1896995

თარიღი : 06.05.2022

გაცემის თარიღი : 17.05.2022

გაცნობის თარიღი : 18.05.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტრიკოტაჟი , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ.ნინუა , N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე გოგოლაძე პ/ნ 35001020444
- რუსთავი ხალხთა მეგობრობის გამზ. კორ. 43 ბ. 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 06 მაისის №AR1896995 განცხადების (რომლითაც ითხოვთ ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2021 წლის 29 დეკემბრის №5746510 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით) პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 31 დეკემბრის №5751660 ბრძანებით უკვე გასწორდა ტექნიკური

შეცდომა სამსახურის 2021 წლის 29 დეკემბრის №5746510 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 7 ივლისის №5490545 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 29 დეკემბრიდან 2023 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით.“
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 29 დეკემბრის №5746510 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომა მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით გასწორებულია.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.